ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7746688

ნომერი: AR11122093

თარიღი : 17.12.2025

გაცემის თარიღი : 19.12.2025

გაცნობის თარიღი : 19.12.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 17 დეკემბრის №AR11122093 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17 დეკემბერს №AR11122093 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძე და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

25 აპრილის №7458926 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7458926 ბრძანებით, №01.72.14.035.183 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 11 ივლისის №7545469 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7458926 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი 1981.7 კვ.მ-ის ნაცვლად არის 1982.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 468.5 კვ.მ-ის ნაცვლად 512.8 კვ.მ., დამხმარე ფართობი 8.6 კვ.მ-ის ნაცვლად 15.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 311.4 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 317.8 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 3321.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3379.2 კვ.მ.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ წარმოდგენილ გეგმებსა და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და დამხმარე ფართობების ჯამური მაჩვენებლები შეუსაბამოა ერთმანეთთან. გაითვალისწინეთ, რომ ±0.00 ნიშნულის გეგმაზე „4-5“ მონაკვეთსა და „B-C” ღერძებში, ასევე +26.25 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულ კიბის უჯრედზე არ არის მითითებული შესაბამისი ფართობი. ამასთან, +26.25 ნიშნულის გეგმაზე ფიქსირდება ტექნიკური ოთახი, რომელზეც, ასევე არ არის შესაბამისი ფართობი მითითებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს მოთხოვნა კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7458926 ბრძანებით შეთანხმებული, არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), ყველა ფართობზე შესაბამისი მაჩვენებლების დაფიქსირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 17 დეკემბრის №AR11122093 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.